დანართი#1

შ.პ.ს. ტელერადიოკომპანია „ ბორჯომი"ს ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ბორჯომი

1 მარტი 2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელე რადიო კომპანია ,,ბორჯომი"ს მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში ,,აქცეპტანტი")

ბორჯომის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1,1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ. წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ბორჯომი ფიროსმანის ქ,# 5

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათალისწინებულ მისამართამდე

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი(SD/HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 ბორჯომის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ–ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 980 (ცხრაასოთხმოცი) ლარს (2.15 მგბტ/წმ 2107 ლარი დღგ–ს გარეშე).

3. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე– 2018 წლის 01 მარტამდე.

მარინა კუპატაძე
ტელეკომპანია ,,ბორჯომის"
დირექტორი

LIMITED RESPONSIBILITY SOCIETY "BORJOMI" BORJOMI 226112011 REPUBLIC OF GEORGIA